ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 20---

29 იანვარი
"---" -------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ს/ქ №43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი №120-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.016.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ს/ქ №43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი №120-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.016.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №20.1653.2018 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ს/ქ №43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი №120 -ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.016.016) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N2-თ წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი №1

ქ.თბილისი, ს/ქ №43, ჯორჯ ბუშის ქუჩა, მე-5 შესახვევი, კორპუსი №120

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ფართი (კვ.მ.)	სართული	საკადასტრო კოდი
1	თენგიზი ბობოხიძე	55001012320	65.94	სართული 1, ბინა №2	01.17.08.016.016.01.002
2	მამუკა ბოკელავაძე	37001009772	100.71	სართული 2, ბინა №10	01.17.08.016.016.01.010